

დამტკიცებულია: -----

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის

2014 წლის 05 ნოემბრის

79 ბრძანებით

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. პროფესიულ სტუდენტებსა (შემდეგში-სტუდენტი) და შ.პ.ს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის (შემდეგში-კოლეჯი) თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ სამედიცინო სამსახურის უფროსს (შემდეგში-მედდა) და მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.

2. თუ სტუდენტი ან კოლეჯის თანამშრომელი ვერ ახერხებს მედდასთან დამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მედდას, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, რომლებიც ვალდებული არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო პუნქტთან.

3. თუ სტუდენტის ან კოლეჯის თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ექვევებ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, კოლეჯში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს მედდას და სთხოვოს მას ავადმყოფის ადგილზე გასინჯვა. მედდა ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.

4. აუცილებლობის შემთხვევაში მედდამ დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება.

5. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, მედდამ ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

- საკუთარი ტელეფონის ნომერი;
- კოლეჯის მისამართი;
- რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე რამდენად სერიოზულია ის;

- დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
- ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

6. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას კოლეჯის მედდა ვალდებულია პირველმა არ დაკიდოს ყურმილი, ვინაიდან შეიძლება ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.

7. კოლეჯის მედდის ძირითადი ფუნქციებია:

- კოლეჯის პერსონალსა და სტუდენტებს უსასყიდლოდ აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;
- კოლეჯის პერსონალსა და სტუდენტებს უსასყიდლოდ გაუწიოს კონსულტაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ხელი შეუწყოს კოლეჯში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას;
- შესაძლებლობის ფარგლებში გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

8. მედდას თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, გამოყოფილი აქვს სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი ოთახი. ოთახში არის ყველა საჭირო ინვენტარი.